წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ოქმი N 16

ქ. წალკა; 07.05.2025 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე *გოჩა ხაჩატურიან*

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი მანანა გულედანი, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე ჯაბა აბულაძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის" თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:15 საათზე;

დღის წესრიგი:

განკარგულების პროექტი "მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების (ს.კ. 85.21.24.166) უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

სხდომამ განიხილა:

სხდომის თავმჯდომარემ გოჩა ხაჩატურიანმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი "მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების (ს.კ. 85.21.24.166) უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე წალკის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ". ბიურომ ღია კენჭისყრით (9 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14

ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად დაიწყოს განკარგულების პროექტის განხილვის პროცედურები დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების, სოციალურ საკითხთა კომისიების და საკრებულოს ფრაქციებს შემჭიდროვებულ ვადებში განიხილონ აღნიშნული განკარგულების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 8 მაისისა ბიუროს რიგგარეშე სხდომისთვის წარმოადგინოს შესაბამისი დასკვნა;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე *გოჩა ხაჩატურიან*